


საბა

2024, ნოემბერი

საბარტემპლოს კათოლიკეთა ყოველთვიური ბუკეტი
THE MONTHLY BULLETIN OF CATHOLICS OF GEORGIA - SABBA



N11 (347)



ნოემბერი

რადანთორის ბჰერდი ... 3-4

კათოლიკე ეკლესია მსოფლიოში..... 5-6

ჩვენი ეკლესია 7-9

იუბილე 10-15

ჩანართი:.....I-IV

სახარების სინარულის მოწმენი..... 16-17

მომლოცველობა 18-19

სოციალური ბჰერდი - Iner Georgia..... 20-21

კათოლიკური კულინარია 22

ინფორმაცია..... 23

- 1 ნოემბერი - ყველაწმიდას დიდდღესასწაული
- 2 ნოემბერი - ყველა მორწმუნე მიცვალებულის მოხსენება
- 3 ნოემბერი - საქართველოში მოღვაწე ყველა გარდაცვლილი კათოლიკე სასულიერო პირის გახსენება. მ. სერაფიმ მერაბიშვილის (+1940), მ. შიო ბათმანიშვილის (+1937), მ. ლაზარე გობალიშვილის (+1937?), მ. სტანისლავე კაჭკაჭიშვილისა (+1937) და მ. კონსტანტინე შეშაბერიძის გახსენება
- 4 ნოემბერი - „საქართველოს კარიტასის“ 30 წლის იუბილე
- 8 ნოემბერი - საქართველოს კათოლიკე ეკლესიის ყველა წმიდანი
- 9 ნოემბერი - ლატერანის ბაზილიკის კურთხევა, დღესასწაული
- 8-9 ნოემბერი - წმ. იოანე პავლე II-ის საქართველოში ვიზიტის 25-ე წლისთავი
- 17 ნოემბერი - რიგითი XXXIII კვირადღე, უპოვართა მსოფლიო დღე; წმ. ელისაბედ უნგრელი, წმ. ელისაბედის დების მფარველი
- 23 ნოემბერი - წმ. გიორგის დღესასწაული, უდემი „პირდაპირების“ საკრებულოს დღეობა
- 24 ნოემბერი - ქრისტე, სამყაროს მეფე, ახალშენის საკრებულოს დღეობა, ლიტურგიული წლის ბოლო კვირა
- 30 ნოემბერი - წმ. ანდრია მოციქული, ბეთლემის (ახალხიზა) საკრებულოს დღეობა

ქრისტეს წმინდაიარების კონგრეგაცია (სტიგმატინები)

პროვინციის წინამძღვარი, მამა ლიდიო ძაუბა,

ნოვიციების პირველი საზეიმო ალთქმის ცერემონია.

ფრანჩესკო ნაპო ჯუზეპე ვოლპე ილია შაბაშვილი

San Gaspere Bertoni

ცერემონია გაიმართება 2024 წლის 4 ნოემბერს, 18:00 საათზე, იტალიის ქალაქ ვერონაში, წმინდა იარების ეკლესიაში. გეპატივებით მონაწილეობა მიიღოთ ამ სასიხარულო ღვთისმსახურებაში, რათა ერთად გავიზიაროთ ეს დიდი სიხარული.

LIVE f Stigmatini




სულ სხვა ომი

რედაქტორის გვერდის დასაწერად რომ ვემზადებოდი, ჯერ კიდევ არ ვიცოდი, როგორ წარიმართებოდა 26 ოქტომბრის არჩევნები საქართველოში. სწორედ ამ დროს მოულოდნელად შევიტყვე, რომ ბათუმში ერთი თვის განმავლობაში ათასი აბორტი გაკეთდა; სახტად დავრჩი, მერე დაფიქრდი, მაინც რამდენი აბორტი კეთდება წელიწადში, არა მართო ამ ქალაქში, არამედ მთელ საქართველოში და, არა ცნობისმოყვარეობის გამო, - მთელ მსოფლიოშიც? ციფრები საგანგაშოა; საუბარია 2023 წელს საქართველოში 14 884 აბორტზე და 44 მილიონზე მსოფლიოში; ეს ნამდვილი ომია უთანასწორო იარაღით: მათ შორის, ვისაც ყველაფერი ძალუძს და ვისაც არაფერი შეუძლია, ვინც უხმოდ ყვირის და მისი ხმა არავის ესმის! ომი, რომელიც არავინ იცის როდის დასრულდება... მაგრამ ბევრისთვის ეს პრობლემა კი არა, არამედ მრავალი საკითხის გადაწყვეტაა. თითქოს ეს საკმარისი არ არის, სულ უფრო ხშირად საუბრობენ **აბორტის უფლებაზე** (გავიხსენოთ საფრანგეთი, სადაც ეიფელის კოშკი გაანათეს გასული წლის 4 მარტს, როდესაც კონგრესმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციაში შეტანილ შესწორებას, რომელიც ქალებს აბორტის გაკეთების თავისუფლებასა და უფლებას ანიჭებს. ფრანგმა ლიდერებმა აღწერეს კიდევ ეს ისტორი-

ული ცვლილება, რომლის მეშვეობითაც „საფრანგეთი განაახლებს თავის მონოდებას - იყოს შუქურა ადამიანის უფლებების საკითხში“), **თავისუფალ და უსაფრთხო აბორტზე**, ამასთან დაკავშირებით, საერთაშორისო დღეც კი არსებობს (28 სექტემბერი), **მათ დასჯაზე**, ვინც აბორტის წინააღმდეგია (იხ. კანონი ინგლისში, რომელიც ძალაში შევიდა 2024 წლის 31 ოქტომბერს). და ეს არის ადამიანური სამართალი!

წინასაარჩევნო კამპანიის ამ პერიოდში ქართველი პოლიტიკური ლიდერები ტრადიციულ ღირებულებათა დასაცავად გამოდიოდნენ; საქართველოს პარლამენტმა, ასევე, მიიღო კანონი (27.06. 2024) ტრადიციული ოჯახის დაცვის შესახებ, თუმცა, სამწუხაროდ, სარკასტულად რომ ვთქ-

**მამა გაბრიელე
პრაბანტინი CSS
მთავარი რედაქტორი**



სტიგმალი;
ეპისკოპოსის ვიკარიუსი
ეკუმენიზმისა და კულტურის
დარბი; ქუთაისის,
ბათუმისა და ოზურგეთის
საკრებულოთა წინამძღვარი

ვით, აბორტიც ტრადიციული ოჯახის „ღირებულებებს“ შორისაა, ქართული კულტურის ნაწილი ხდება. გამოდის, რომ როდესაც ტრადიციულ ღირებულებებზე ვსაუბრობთ, ჩვენ ვსაუბრობთ მასზე, როგორც ახალ იდეოლოგიაზე, რომელიც უნდა შეენიანაღმდეგოს სხვა იდეოლოგიას, როგორცაა ე.წ. „გენდერი“, „ტრანსგენდერი“...? ან თუნდაც ახალი ქართული კანონი აბორტამდე ხუთდღიანი მოსაფიქრებელი პერიოდის შესახებ (ძალაშია 01. 01. 2024 წლიდან, რომლის მიხედვით ქალმა უნდა გაიაროს სავალდებულო კონსულტაცია ფსიქოლოგთან და სოც. მუშაკთან), რომელიც აბორტის გადაფიქრებას უნდა ემსახურებოდეს, სინამდვილეში, პრობლემის ხელშემწყობ იარაღად გვევლინება?

მაგრამ ამ გზით დაიკარგება მხოლოდ ოჯახი და მისი ყველაზე წმინდა ნიშანი, როგორც არის ადამიანის სიცოცხლე, ყველაზე უმწეო სახით, მთელ ჩვენს ყურადღებასა და სიყვარულს რომ საჭიროებს. მალე ახალი თაობები უთუოდ დაუსვამენ საკუთარ თავს კითხვას: რატომ გავჩნდი? ამ ომს გადავურჩი; ისევე როგორც ომებს, საკონცენტრაციო ბანაკებს, თავდასხმებს გადარჩენილი ვეტერანები... ასე რომ, მსოფლიოს მრავალ მხარეში, სულ უფრო მეტნი იქნებიან გადარჩენილები, ამ უსამართლო ბრძოლის ვეტერანები... აღიარების, მედლების, ძეგლების გარეშე.

პირიქით, სულ უფრო მეტ ადამიანს ექნება შვილის ყოლის სურვილი და ამ სურვილს განახორციელებს ყველაფრის ფასად, ყველანაირი სა-

შუალებით, ხოლო როდესაც ბავშვი გაჩნდება, ყველაფერს უმართებულოდ გააკეთებს ამ ერთადერთი შვილისთვის. როგორი შეუსაბამობაა! მას შემდეგ კი, რაც კანონპროექტი, რომელსაც უნდა აეკრძალა სუროგაციის პრაქტიკა ადგილობრივი და უცხოელი წყვილებისათვის, მაგრამ 2024 წლის 1-ლი იანვრიდან საბოლოოდ ჩავარდა, ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად გადაიქცა სუროგატული დედობის სავანედ.

შემთხვევით როდი ვსაუბრობდი ომზე: სწორედ მაშინ, როდესაც დღეს, სამწუხაროდ, „ომმა მოიპოვა მისთვის აქამდე არნახული ღირსება“; ზოგიერთი გამწარებით საუბრობს თვით „ომის რეაბილიტაციაზე“. მიუხედავად ამისა, ნებისმიერი ომის ფონზე, იქნება ეს უკრაინასა თუ პალესტინაში, ჩვენ მაინც ვცდილობთ მოვძებნოთ სიტყვები, რითაც გავამართლებთ ან დავგმობთ მას, მაშინ როდესაც სწორედ ომის საშინელებათა წინაშე სიტყვა უძლურია და არასაკმარისი. 1945 წელს, ომის დამთავრებისთანავე, მისი საშინელი შედეგების განცდის შემდეგ, პოლონელმა პოეტმა ანა შიმბორსკამ (1923—2012; ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურაში, 1996 წ.) გამოაქვეყნა თავისი პირველი ლექსი „ვეძებ სიტყვას“: „ვეძებ სიტყვას... არცერთი არ შეესაბამება. ყველაზე გაბედული - მხდალია, ყველაზე საზიზღრები - მაინც წმიდანები, ყველაზე სასტიკი - ძალზე ღმობიერი, ყველაზე საძულველი - მცირედ მოძალადე. ეს სიტყვა უნდა ჰგავდეს ვულკანს, რომელიც ამოიფრქვევა, მიედინება და თავს დაატყდება, ვით ღვთის საშინელი რისხვა, ვით მდულარე სიძულვილი. მსურს, რომ ეს სიტყვა ერთიანად სისხლით იყოს გაჟღენთილი... ჩვენი ენა უძლურია, სიტყვა - ღარიბი. გონების დაძაბვით ვეძებ ამ სიტყვას - მაგრამ ვერ ვპოულობ. არ შემიძლია“.

რომის პაპმა ფრანცისკემ, ლუქსემბურგსა და ბელგიაში ვიზიტისას (26-29 სექტემბერი), მოძებნა სიტყვები, რათა კიდევ ერთხელ ესაუბრა ამ ომზე: „აბორტი ადამიანის მოკვლაა. არ მოგწონს ეს სიტყვა? მაგრამ ეს არის მკვლელობა... ეკლესია კრძალავს აბორტს, რადგან მოკვლა - ეს მკვლელობაა“, ხოლო ექიმი, რომელიც აბორტს აკეთებს, „დაქირავებული მკვლეელია“, ამ სიტყვებით მან სახელმწიფოთა მთავრობების - და არა მხოლოდ მათი - რისხვა გამოიწვია. ვინ იცის, რატომ!



უნმიდესი პაპის სამოციხულო ვიზიტი ლუქსემბურგსა და ბელგიაში

26 სექტემბერს ფრანცისკე ერთდღიანი ვიზიტით ლუქსემბურგს ეწვია. აეროპორტში პაპს დიდი ჰერცოგი ანრი, მისი მეუღლე, მარია ტერეზა, პრემიერ-მინისტრი ლუკ ფრიდენი და კარდინალი ჟან-კლოდ ჰოლერიში დახვდნენ. ხანმოკლე პრეს-კონფერენციის შემდეგ პონტიფექსი დიდი ჰერცოგის სასახლეში გაემართა. „ლუქსემბურგი არის ქვეყანა, რომლის კარი მუდამ ღიაა. ეს ქვეყანა თავისუფალია დისკრიმინაციისა და უგულბე-ლყოფისაგან“, - აღნიშნა უნმიდესმა ფრანცისკემ თავის მისასალმებელ სიტყვაში. დღის მეორე ნახევარში ლუქსემბურგის ღვთისმშობლის ტაძარში პაპი ადგილობრივი კათოლიკე თემის წარმომადგენლებს შეხვდა. იმავე დღის საღამოს ფრანცისკე ლუქსემბურგიდან ბელგიაში გაემგზავრა.

27 სექტემბერს ბელგიის სამეფო ოჯახის რეზიდენციაში, ლაკენის სასახლეში, უნმიდესი ფრანცისკე ქვეყნის მესვეურებს, დიპლომატიური კორპუსისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა. „როცა მეორე მსოფლიო ომით დაღლილი ერები მშვიდობის შენებისა და ომის ურყოფის გზას დაადგნენ, თქვენი პატარა ქვეყანა გახდა ის ადგილი, სადაც ევროპის უმთავრესი სამშვიდობო ინსტიტუტები დაფუძნდა. ჩემი აზრით, ახლა, მოცემულ ისტორიულ მომენტში, როცა მსოფლიო მესამე მსოფლიო ომის ზღვარზე დგას, ბელგიას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. მშვიდობა და თანხმობა ხომ ერთხელ და სამუდამოდ არ მიიღწევა. დღეს ორი უბედურება დაგვატყდა: დემოგრაფიული ზამთარი და ომი. ეკლესია მონაწილეა თავის რწმენასა და სასოებას და ქადაგებს, რომ ადამიანი ნგრევისა და არყოფნისთვის კი არ არის განწირული, არამედ მონადებულია მშვიდობისა და სიკეთისაკენ. ვლოცულობ ერების წინამძღოლთათვის, რათა შეძრწუნდნენ სინდისის, ისტორიისა და ღვთის მომავალი მსჯავრის წინაშე და გულით მოექცნენ“, - აღნიშნა თავის სიტყვაში უნმიდესმა ფრანცისკემ. შემდეგ პაპმა დაუფარავად ისაუბრა არასრულწლოვნების მიმართ სასტიკი მოპყრობის შესახებ და აღნიშნა, რომ ეკლესია შეუპოვრად ებრძვის ამ სენს: „ეკლესია წმინდაა და, ამავე დროს, ცოდვილი. მასში მუდამ არის სინწინდისა და ცოდვის, ნათლისა და ბნელის, თავდადებისა და სწეულების ჭიდილი. ეკლესიას უნდა რცხვენოდეს ბავშვების მიმართ სასტიკი მოპყრობის გამო. მან ბოდში უნდა მოიხადოს ამისთვის და ქრისტიანული მორჩილებით გადაწყვიტოს ეს პრობლემა“.



საღამოს პაპი ფრანცისკე ლევენის კათოლიკურ უნივერსიტეტს ეწვია. „ნებისმიერი სასწავლო დანესებულების ამოცანა მხოლოდ ცოდნის მიწოდება კი არ არის, არამედ ისეთი განათლების მიცემა, რომელიც ახალგაზრდებს ანმყოს გააზრებისა და მომავლის შენების შესაძლებლობას მისცემს. უნივერსიტეტი არ უნდა იქცეს დახურულ სტრუქტურად. მან თავისი სოციალური მნიშვნელობა უნდა შეინარჩუნოს. მისი მთავარი მისია კულტურის ფორმირება, ახალი იდეების გენერაცია და, უპირველეს ყოვლისა, საყოველთაო კეთილდღეობისათვის ჭეშმარიტების ძიების ხელშეწყობაა. განათლება სინამდვილეს არ უნდა მოსწყდეს. ის ცოცხალი და აქტუალური უნდა იყოს“. სიტყვის დასასრულს, პაპმა მადლობა გადაუხადა ლევენის უნივერსიტეტს ლტოლვილი სტუდენტების დახმარებისათვის და აღნიშნა, რომ გასაჭირში მყოფთა დახმარება და მათზე ზრუნვა საზოგადოების საზღვრებს აფართოებს.

28 სექტემბერს ბრიუსელის სენ-მიშელის კოლეჯში ფრანცისკე, ტრადიციისამებრ, თავის იეზუიტ თანამოძმეებს შეხვდა. 29 სექტემბერს პონტიფექსმა ბრიუსელის სტადიონზე წმიდა წირვა აღავლინა. წირვის დასრულების შემდეგ ფრანცისკემ ახლო

აღმოსავლეთის ომში მონაწილე მხარეებს ცეცხლის დაუყოვნებელი შეწყვეტის, მძევლებისა და ტყვეების გათავისუფლებისა და ჰუმანიტარული დერეფნების უზრუნველყოფისაკენ მოუწოდა. მან ასევე მოუწოდა ბელგიის კათოლიკე მღვდელმთავრებს ეკლესიის წიაღში არსებული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, ამ სენის, ამ ბოროტების მხილებისაკენ. „ბოროტმოქმედი უნდა განისაჯოს და დაისაჯოს. ვინც არ უნდა იყოს: საერო, მღვდელი თუ მღვდელმთავარი. ის უნდა განისაჯოს“, - განაცხადა უნმიდესმა ფრანცისკემ.

ლიბანში კათოლიკური სკოლები მუშაობას განაგრძობს

ბეირუთის სიახლოვეს მდებარე ზღვისპირა ქალაქ ჯუნიას კათოლიკური კოლეჯის პრეზიდენტის, მამა მუინ საბას განცხადებით, ქვეყანაში შექმნილი



ურთულესი ვითარების მიუხედავად, კათოლიკური სკოლების უმრავლესობა მუშაობას არ წყვეტს. მოციქულთა სახელობის კოლეჯი, რომელიც ლიბანის მარონიტმა მისიონერებმა დააფუძნეს, ყველა აღმსარებლობის მონაფეს იღებს. „როგორც ქრისტიანები, ჩვენ ვცდილობთ, რომ ადამიანთა გულებში იმედი გავაღვივოთ. ჩვენი კარი ღიაა და გვწამს, რომ ამ ურთულეს ვითარებაშიც გვმართებს ადამიანებისათვის რწმენისა და სასოების უწყება“. ერთ-ერთი სკოლის პედაგოგი, ნოელ ელ ჰაჯი ამბობს, რომ ლიბანის კათოლიკური სკოლა ცნობილია განათლების მაღალი ხარისხით. „სკოლების უმრავლესობაში მსურველებს განათლების მიღება არაბულ, ინგლისურ ან ფრანგულ ენებზე შეუძლიათ. ჩვენ განათლების მწყობრი და სანდო სისტემა გვაქვს. სამწუხარო იქნება, თუკი ის ემსხვერპლება ომს, რომელიც ჩვენ არ გავგიჩალებია და არ გვსურს“, - განაცხადა პედაგოგმა.

კარდინალი მათეო ძუკი მოსკოვს ეწვია



14 ოქტომბერს წმიდა საყდრის პრეს-ცენტრმა გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ კარდინალი ძუკი სამშვიდობო მისიით კვლავ გაემგზავრა რუსეთში. პრეს-ცენტრის ცნობით, პაპის მშვიდობის დესპანი რუსეთის მხარესთან განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა უკრაინიდან გატაცებული ოცი ათასი ბავშვის სამშობლოში დაბრუნება და ტყვეების გაცვლის ხელშეწყობა. წმიდა საყდარი იმედს გამოთქვამს, რომ ჰუმანიტარული შეთანხმებები სამომავლოდ ხელს შეუწყობს სამშვიდობო მოლაპარაკებებს.

უკრაინის პრეზიდენტის ვიზიტი ვატიკანში

11 ოქტომბერს უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი სამოციქულო სასახლის ბიბლიოთეკაში უნმიდეს პაპს შეხვდა. 35-წუთიანი შეხვედრისას ზელენსკიმ და ფრანცისკემ განიხილეს უკრაინელი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების ხელშეწყობის საკითხი და ამ ხანგრძლივი სრულმასშტაბიანი ომის დასრულების პერსპექტივები. ომის დაწყების დროიდან ეს უკრაინის პრეზიდენტისა და პაპის მესამე შეხვედრაა.



რუსთავის ღვთაებრივი გულმონყალების ტაძრის ზეიმი

მიმდინარე წლის 5 ოქტომბერს რუსთავში უკვე მეექვსედ აღინიშნა ღვთაებრივი გულმონყალების კათოლიკური ტაძრის კურთხევის დღესასწაული და დილიადრიან, დედა ტერეზას მონყალების კონგრეგაციის დების ორგანიზებით, მოეწყო, ან უკვე ლამაზ ტრადიციად ქცეული, ფეხით მომლოცველობა თბილისიდან რუსთავის კათოლიკური ტაძრისაკენ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილი კათოლიკე მორწმუნეებით გადავსებულ რუსთავის ღვთაებრივი გულმონყალების ტაძარში წმიდა წირვა აღავლინა გორისა და ბეთლემის სამრევლოების წინამძღვარმა, მამა ანდრია გრაჩიკმა (იგი რუსთავის ტაძრის პირველი წინამძღვარი იყო), სხვა კათოლიკე მღვდელმსახურებთან ერთად. საზეიმო ქადაგებისას მამა ანდრია მკურნალობა გაამახვილა ღვთაებრივ გულმონყალებსა და ტანჯულ ადამიანთა ხსენაზე.

რუსთავის ტაძარი, გარდა ადგილობრივი მოსახლეობისა, ასევე მრავალი უცხოელი, განსაკუთრებით კი ინდოელი სტუდენტების, სულიერ კერად გვევლინება. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ ტაძრის ზეიმისადმი მიძღვნილ წერილში აღვნიშნე, რომ, სავარაუდოდ, ახლო მომავალში ეს ეკლესია მრავალრიცხოვან უცხოელ მორწმუნესაც უმასპინძლებდა. მართლაც, ამ ტაძრის მრევლს სამ ათეულამდე მხოლოდ ინდოელი სტუდენტი შეემატა. მშობლიური კათოლიკე ეკლესიის არსებობა სამშობლოდან მოშორებით მყოფ ინდოელ სტუდენტებს უადვილებს აქ ყოფნას, რომ თავი უცხოდ არ იგრძნონ. რუსთავის კათოლიკური ტაძარი უცხოელი კათოლიკეების სულიერი ერთობის კერაა, რაც ეხმარება მათ კულტურული შოკისა და მარტოობის განცდის გადატანაში.

რუსთავის ღვთაებრივი გულმონყალების ტაძარს, კურთხევის პირველი დღიდანვე, უკავშირდება თბილისიდან ფეხით მომლოცველობის ტრადიციის დაფუძნებაც. დედა ტერეზას გულმონყალების მისიის შენობიდან რუსთავამდე (25 კილომეტრ მანძილზე) მომლოცველობას სწორედ ამ კონგრეგაციის წევრმა დედებმა დაუდეს სათავე. პირველი მომლოცველობის დროს მომლოცველთა რიცხვი სხვადასხვა ასაკის თერთმეტ ადამიანს შეადგენდა. 2024 წლის 5 ოქტომბერს კი მომლოცველობაში ოცდაცამეტი კაცი მონაწილეობდა. თბილისელ მორწმუნეებთან ერთად, ამ მომლოცველობაში უცხოელი კათო-



ლიკე მორწმუნეებიც იღებენ მონაწილეობას. ამ დღეს სამოციქულო ადმინისტრატორი, მეუფე ჯუზეპე პაზოტო ველოსიპედით ახორციელებს მომლოცველობას. ვინაიდან წელს, პაპ ფრანცისკეს მიწვევით, ჩვენი ეპისკოპოსი რომში იმყოფებოდა, ვერ შეძლო მომლოცველობაში მონაწილეობა, თუმცა მის მიერ დაწყებული ტრადიცია გაგრძელდა და თბილისიდან რუსთავის ტაძრის ზეიმზე ტრანსპორტის ამ საშუალებით ჩავიდნენ მომლოცველები.

რუსთავის ტაძრის დღესასწაულს ჩვენი ჟურნალი ყოველწლიურად ეხმარება, წელს გადავწყვიტეთ, ოდნავ განსხვავებულად წარმოგვედგინა ტაძრის კურთხევის მეექვსე წლისთავი და აქცენტი მომლოცველებზე გავაკეთეთ. გთავაზობთ მცირე საუბარს ამ მომლოცველობის სულისჩამდგმელთან, მონყალების კონგრეგაციის მონაზონთან და მისიის ხელმძღვანელთან, დედა **მარია აუმერასთან**:

„2013 წელს ჩამოვედი საქართველოში. 2016 წელი პაპმა გამოაცხადა გულმონყალების წლად და პირველად სწორედ მაშინ გადავწყვიტე, ფეხით ნავსულიყავი რუსთავში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო ტაძარი, მაგრამ ტრიალ მინდორში იდგა კარი, რომლის მიღმა გულმონყალე იესო გველოდა. მსურდა, მისთვის მიმეძღვნა თუნდაც მცო-

რედი და დავდგომოდი იმ გზას, რომელიც, არ ვიცოდი, საით წამიყვანდა, ან სად მიმიყვანდა, მაგრამ გულში ჩამრჩა ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: „და შარაგზები იქნება იქ, და სინმინდის გზა დაერქმევა მას; უწმინდური არ გაივლის მასზე, გზაზე მავალისთვის იქნება იგი. და ბრიყვები არ დაიბნევიან. არ იქნება იქ ლომი და მტაცებელი მხეცი არ აღდგება მასზე, არ გაიჭაჭანებს იქ და ივლიან გადარჩენილნი. უფლის გამოსყიდულნი დაბრუნდებიან და მივლენ სიონში სიმღერით. და საუკუნო სიხარული იქნება მათ თავზე, და ლხინსა და სიხარულს ეწევიან, დარდი და ოხვრა უკუიქცევა“ (35, 8-10). ეს სიტყვები ორ დას მიგვიძღვოდა ცოცხლად ამ გზაზე. მომლოცველობა არ არის ჩემთვის მონანიების გზა, ეს არის ზეიმის, დღესასწაულის გზა, რადგან ვიცი, რომ გულმონყალე ღმერთი აქ არის და ხელებგაშლილი მელოდება, რათა გულში ჩამიკრას. როცა პირველად შევუდექი ფეხით მომლოცველობის გზას რუსთავამდე, არ მეგონა, რომ ის გახდებოდა საერთაშორისო და მასში მონაწილეობას მიიღებდა მრავალი ადამიანი.

რუსთავის ტაძარი 2018 წელს გაიხსნა და უკვე თერთმეტნი ვიყავით. წელს ჩემთვის იყო მეშვიდე მომლოცველობა, სხვებისთვის - მეექვსე. წლებანდელი მომლოცველობა ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო: სასულიერო პირები, მღვდლები, სხვადასხვა ორდენის წარმომადგენელი დები და, რაც მთავარია, ბევრი უცხოელი ახალგაზრდა ინდოეთიდან, აფრიკიდან, ბელორუსიდან,

რუსეთიდან, შრი-ლანკიდან, ავსტრალიიდან, პოლონეთიდან, იტალიიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული კათოლიკე მრევლი, რა თქმა უნდა, დედა ტერეზას დები, სავსენი გულმონყალებითა და სიყვარულით. მათი მსახურება ხომ სრულიად გულმონყალებაზეა დაფუძნებული. წელს ბედნიერი ვიყავი არა მომლოცველთა რაოდენობით, არამედ იმით, რომ მათაც შეიგრძნეს და განიცადეს უფლის გულმონყალება და, მადლიერნი და სიხარულით აღვსილნი, მიეშურებოდნენ მასთან შესახვედრად ძღვენით, თუნდაც მცირედით.

არ ვიცი, რამდენ ხანს დავრჩები აქ, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ყოველთვის მოიძებნებიან საქართველოში ადამიანები, რომლებიც შეიგრძნობენ, განიცდიან უფლის გულმონყალებას და აენთებიან წყურვილით, რათა იზეიმონ გულმონყალების ეს დღე და ფეხით შეუდგნენ გზას რუსთავისაკენ. ბედნიერი ვიქნები, როცა გავიგებ, რომ ამ ლამაზ დღეს, 5 ოქტომბერს, თუნდაც სულ მცირე ჯგუფი, გულმონყალე იესოს სიყვარულით აღვსილი, ფეხით გაემართება რუსთავისაკენ“.

და რა შეიძლება დავამატოთ ამ ემოციურ სიტყვებს? ალბათ, მტკიცე იმედი, რომ დედა მარია აუშერას მიერ დაწყებული მომლოცველობის ტრადიცია მარად გაგრძელდება, ვიდრე იარსებებს რუსთავის კათოლიკური ტაძარი და კათოლიკე მრევლი საქართველოში. ამენ!

p.s. სტატიის მომზადებაში განუული დახმარებისათვის მადლობა მზია ჯანაშვილს.



ქართულად ამღერებელი გერმანელი ბოგონები თბილისის საკათედრო ტაძარში



რომლებმაც არ დაიშურეს ენერგია და ასე გულისხმიერად მიგვიღეს თავიანთ ოჯახებში! მადლობა ამხელა ყურადღებისა და გულთბილი სტუმარმასპინძლობისათვის! ჩემთვის და ჩემი გუნდისათვის ეს დაუვიწყარი დღეები იყო!”

საქართველოში ამ სასიძღვრო გუნდების ერთობლივი კონცერტისათვის საგანგებოდ შეირჩა ორი გამორჩეული სივრცე - თბილისის კათოლიკური საკათედრო ტაძარი, რომლის უბადლო აკუსტიკასა და მომხიბლავ შიდა სივრცეს აღფრთოვანებაში მოჰყავს მნახველი და თელავის ნ. სულხანიშვილის სახელობის

„საბას“ გასული თვის ნომერში აღვნიშნეთ, რომ თბილისის მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარმა ჩვენი დედაქალაქის კიდევ ერთი მუსიკალური კერის ფუნქციაც შეითავსა. პირველ ოქტომბერს საკათედრო ტაძარმა უმასპინძლა გერმანიის ქალაქ ჰალეს წმ. თომას სიმღერის სკოლის გოგონათა ანსამბლს (ხელმძღვანელი ანა გიორგაძე), რომელმაც საქართველოში პირველი გასტროლი განახორციელა, და 28-ე ხელოვნების სკოლის ანსამბლ „ბიჭებს“ (ხელმძღვანელი არჩილ უშვერიძე). ბატონ არჩილს ჩვენი ჟურნალის მკითხველისათვის წარდგენა არ სჭირდება, იგი ხომ უკვე წელიწადია საკათედრო ტაძრის გუნდის ხელმძღვანელიცაა.

გერმანელ მომღერლებს განსაკუთრებული კეთილგანწყობით დახვდნენ თბილისელი მასპინძლები. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ეს მათი პირველი გასტროლი გახლდათ საქართველოში, და მეორეც, ანსამბლს ჩვენი თანამემამულე ხელმძღვანელობს. გერმანელ სტუმრებს, გასტროლის განმავლობაში, ქართულმა ოჯახებმა გაუწიეს მასპინძლობა. გასტროლის შემდგომ, ჰალეს სიმღერის სკოლის სახელით, ანა გიორგაძემ სოციალური ქსელის საშუალებით მადლობა გადაუხადა 28-ე ხელოვნების სკოლის ანსამბლ „ბიჭებს“ და მის ხელმძღვანელს, არჩილ უშვერიძეს: „განსაკუთრებული მადლობა მშობლებს,

სამუსიკო სასწავლებელი, სადაც მათ თელაველთა სამუსიკო სასწავლებლის გუნდიც შეუერთდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ვაჟთა ანსამბლი „ბიჭები“ იყო პირველი, რომელმაც 90-იანი წლების ბოლოს ურთულესი ქართული საგალობლები ჩაწერა და აუდიო ალბომი გამოსცა, რაც ბატონ არჩილ უშვერიძის დამსახურებაა.

კონცერტის წინ მონაწილეებსა და მსმენელებს საკათედრო ტაძრის წინამძღვარი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი მიესალმა და, კათოლიკე მრევლისა და სამოციქულო ადმინისტრატორის, მეუფე ჯუზეპეს სახელით, წარმატებული გასტროლი უსურვა. კონცერტზე შესრულდა ქართული და გერმანული ხალხური სიმღერები და საეკლესიო საგალობლები. განსაკუთრებით ემოციური წუთები მსმენელს კონცერტის ბოლოს ელოდა, როდესაც გერმანელ და ქართველ მომღერალთა გაერთიანებულმა გუნდმა, ანა გიორგაძის ხელმძღვანელობით, ქართულ ენაზე შეასრულა საკულტოდ ქცეული სიმღერა „ჩემო ციციანათელა“. სიმღერა მსმენელმაც აიტაცა, რაც, გერმანიისაგან განსხვავებით, ქართულ სინამდვილეში საკმაოდ იშვითად ხდება; ეს ახალგაზრდა შემსრულებელთა მაღალი პროფესიონალიზმითა და თავად სიმღერის ესოდენი პოპულარობის სინერგიის წყალობით გახდა შესაძლებელი.

რომის პაპ იოანე პავლე მეორის საქართველოში ვიზიტის 25 წლისთავი



საქართველოს მართლმადიდებელ და რომის კათოლიკე ეკლესიებს შორის ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ამ ურთიერთობათა ამსახველი დოკუმენტები მრავლადაა როგორც საქართველოში, ასევე რომში. რომის პაპებსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურების მიმონერაში კარგად ჩანს, რა სურვილები ჰქონდა როგორც საქართველოს მართლმადიდებელ, ასევე რომის კათოლიკე ეკლესიას. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმების შემდეგ ეს ურთიერთობები განყდა, მაგრამ როგორც კი ავტოკეფალია აღდგა, უწმიდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა კირიონ II-მ რომის პაპს გაუგზავნა წერილი, სადაც იგი აღნიშნავდა: „განგებამან ღმრთისამან არა უცხო ქმნა ეკლესია ჩუენი ჰრომთათვის დიდისა, პეტრე და ანდრია პირველწოდებულთა, მათ მონაფეთა ქრისტიესათა, რომელთა თესლი უბიწოდ განაბნიეს, მართალსა სარწმუნობისაი არს სიყვარული და თვისობაი ორთა ამათ ეკლესიისთაი“. 1921 წლის რუსული საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ რომის ეკლესია და მისი მეთაური პაპი პიუს XI საბჭოთა კა-

ვშირის მტრად გამოაცხადა... საბჭოთა კავშირის ხელისუფლების შეურიგებლობა რომის პაპებთან გაგრძელდა XX საუკუნის 80-იან წლებამდე. ამ სირთულეების მიუხედავად, საქართველოს ეკლესიამ 1978 წელს მაინც მოახერხა რომის ეკლესიასთან კონტაქტების აღდგენა. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ნიკოლოზი (მახარაძე) ესწრებოდა რომის პაპ პავლე II-ის დაკრძალვას, ხოლო 1980 წლის 5-6 ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვატიკანში, სადაც შეხვდა რომის პაპს. პატრიარქ ილია II-ის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „პაპი იოანე პავლე II შემხვდა კარებთან. გადავეხვიეთ ერთმანეთს, ქართულად მივმართე: „ქართველი ერისა და საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის სახელით, გულითადად მოგესალმებით. საქართველოს ეკლესია დიდი სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა იმ ფაქტს, რომ პაპი პოლონელია, მცირე ერის წარმომადგენელი. იგი უფრო გაიგებს მცირე ერების პრობლემებს თანამედროვე მსოფლიოში“.

პაპი ყურადღებით მისმენდა (თარჯიმანი თარგმნიდა), შემდეგ მივიდა სხვა მაგიდასთან, საიდანაც მოიტანა გეოგრაფიული ატლასი, გადაშალა ევროპის რუკა, სადაც საქართველოც ჩანდა. დახედა და მერე მომმართა: „ჩვენი ქვეყნები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს თავისი წარსულით. მოხაზა საქართველო და თქვა: სამხრეთით ძლიერი მუსლიმანური ქვეყნებია“. მე დაფუმატი: „მათგან ბევრი განსაცდელი გვინახავს. პაპს აინტერესებდა ეკლესიისა და ხელისუფლების, კონსტანტინოპოლისა და რუსეთის საპატრიარქოსთან ურთიერთობის საკითხები“.

ვატიკანში ვიზიტისას ილია II-მ განაცხადა: „ჩვენი ეკლესიების გაყოფის მიუხედავად, ყოველთვის გვექონდა კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობა, საქართველოს ეკლესია და ქართველი ხალხია ის დიდი ხიდი, რომელიც აერთიანებდა ევროპისა და აზიის ორ დიდ კულტურას“.

1999 წელს, საქართველოს პრეზიდენტისა და პატრიარქის მოწვევით, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა რომის პაპი. უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თბილისის აეროპორტში რომის პაპთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ეს ვიზიტი დიდი მნიშვნელობისაა როგორც საქართველოსათვის,

ისე მთლიანად კავკასიისათვის. პატრიარქმა ილია II-მ და რომის პაპმა იოანე პავლე II-მ შეიმუშავეს ერთობლივი მიმართვა, რომელშიც აღნიშნული იყო: „ჩვენ ვიმყოფებით კავკასიის რეგიონში, საქართველოში, ამ განსაკუთრებული გეოპოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობის მქონე რეგიონში, რომელიც აერთიანებს ევროპისა და აზიის, დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურებს. დღეს ამ რეგიონში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სიტუაცია მეტად დაძაბულია. ამ უმნიშვნელოვანეს ეტაპზე მსოფლიო ვალდებულია მოახდინოს თავისი სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკური ძალების მობილიზება გლობალური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. რომის ეკლესიასა და საქართველოს მართლმადიდებელ სამოციქულო ეკლესიებს შორის ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკურ, კულტურულ სფეროში ვითარდება“.

საქართველოში ყოფნის დროს პაპი იოანე პავლე II შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტს ე. შევარდნაძეს, ქართული ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ახალგაზრდობას. ამ შეხვედრებმა კიდევ უფრო განამტკიცა ორი ქვეყნისა და ეკლესიის ურთიერთობა.



პაპი იოანე პავლე მეორე საქართველოში

1999 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში თბილისში ჩამოვიდა წმიდა საყდრის სახელმწიფო სამდივნოს ზოგად საქმეთა მდივნის მოადგილე, არქივისკოპოსი ჯოვანი ბატისტა რე, რომელიც ნუნციატურაში დაბინავდა. სადილის დროს მეუფე რემ განაცხადა, რომ ინდოეთში ვიზიტიდან დაბრუნებული პაპი იოანე პავლე II, შესაძლოა, თბილისში ერთი-ორი დღით გაჩერებულიყო. გაცემული ვუსმენდით, წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა საქართველოში ჩამოსული და ნუნციატურაში გაჩერებული წმიდა მამა. თუმცა, მეუფემ დაუმატა, რომ პაპი ნუნციატურაში ვერ დაბინავდებოდა, რადგან გაუჭირდებოდა შენობაში შესასვლელად კიბის მრავალი საფეხურის ავლა. ცხადია, ვერც სასტუმროში გაჩერდებოდა და საჭირო იქნებოდა მისთვის შესაფერისი საცხოვრებლის მოძიება. მე, ზედმეტი ფიქრის გარეშე, შევთავაზე „კარიტასის“ უსახლკაროთა სახლი, სადაც სამშენებლო სამუშაოები ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო. სადილის შემდეგ გავემართეთ სახლის მოსანახულეზლად. არქივისკოპოსმა იკითხა, თუ რა დრო და თანხა დაგეჭირდებოდა მშენებლობის დასასრულებლად. ჩვენთან ერთად მყოფმა ინჟინერმა კობამ უპასუხა, რომ თუ დღესა და ღამეს გაასწორებდნენ, მშენებლობა ნოემბრის დასაწყისში დასრულდებოდა. ასეც გადაწყდა. წმიდა საყდარმა საჭირო თანხა გადმოგვირიცხა და სამუშაოებიც დავასრულეთ. ჩვენმა ტრენტოელმა მეგობრებმა (კარიტასი, ასო-

ციაცია იტალია-საქართველო, რეგიონი, პროვინცია...) შეიძინეს ავეჯი (სანოლები, ლეიბები, საბნები...) და აღჭურვილობა, როგორცაა ფოლადის მაგიდები სამზარეულოსათვის, დანა-ჩანგალი, ქვაბები, ჭურჭელი და ა.შ.

მაშინ ნუნციატურაში ვმუშაობდი და, იმავდროულად, „საქართველოს კარიტასის“ დირექტორიც ვაყავი. იმდროინდელმა ნუნციუსმა, მონსინიორ პეტერ სტეფან ცურბრიგენმა დამავალა პაპისა და მისი თანმხლები პირების მიღება-დაბინავებაზე მეზრუნა. ეს ჩემთვის ძალზე საამაყო, მაგრამ, ამავე დროს, მეტად საპასუხისმგებლო საქმე იყო. ამასობაში დასრულდა სახლიც და საღებელი მონაზვნების დახმარებით (დასუფთავება, სამზარეულო და ა.შ.) სტუმრების დასახვედრად გავამზადეთ. დაგვემარნენ კარიტასის ექიმები (ნონა, ნანა და ნინა) და რამდენიმე სხვა ადამიანიც. ყველაფერი გავაკეთეთ, რათა სტუმრები ღირსეულად მიგველო.

მახსოვს იოანე პავლე II-ის თბილისში ჩამოსვლის დღე. დილით ინდოეთიდან დაგვირეკა მეუფე სტანისლავ ძივიშმა და თბილისში ამინდის შესახებ გვკითხა. თავიდან კარგი ამინდი იყო, მაგრამ შემდეგ ქარი ამოვარდა და განვიმდა კიდევ. აეროპორტში იმყოფებოდნენ პრეზიდენტი და პატრიარქი, რომელმაც პაპი სახლამდე მიაცილა (რაც პროგრამით გათვალისწინებული არ ყოფილა). სახლის ეზოში პაპის ავტომობილს დახვდნენ კარიტასის თანამშრომ-



სახარების სინარული ქველმოქმედების მეშვეობით - საქართველოს კარიტასი 30 წლისაა



მიმდინარე წლის 19 მარტს გაეროში გამართული შეხვედრა თემაზე: „რწმენაზე დაფუძნებული ორგანიზაციების როლი ქალთა ლიდერობის გაძლიერებაში“. საქართველოს კარიტასის აღმასრულებელი დირექტორის, ანაჰიტ მქოიანის, გამოსვლის ფრაგმენტი.

კარიტასი (ლათინურად - გულ-მონყალეზა) კათოლიკე ეკლესიის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ორგანიზაციაა, რომელიც მსოფლიოს 162 ქვეყანაში ეწევა ჰუმანიტარულ მისიას. თავისი საქმიანობით, თანამშრომელთა და მოხალისეთა რაოდენობით საერთაშორისო კარიტასი თვითნითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციასაც კი აჭარბებს. კარიტასის შექმნის იდეა ჯერ კიდევ 1891 წლიდან, პაპ ლეონ XIII-ის ცნობილი ენციკლიკიდან „Rerum Novarum“ იღებს სათავეს. ამ პერიოდიდან სხვადასხვა ქვეყანაში იქმნება კათოლიკური

საქველმოქმედო ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობის კოორდინაციისათვის 1950 წელს ვატიკანში დაფუძნდა საერთაშორისო კონფედერაცია „საერთაშორისო კარიტასი“, რომელიც საკონსულტაციო სტატუსით თანამშრომლობს გაეროსთან, იუნესკოსთან, ევროპის საბჭოსთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. კარიტასი თავისი მისიის უკეთ განხორციელებისათვის მჭიდროდ თანამშრომლობს როგორც სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიის, ასევე მუსლიმურ, იუდაურ, ბუდისტურ საქველმოქმედო ორგანიზაციებთან, სხვადასხვა

ქვეყნის სახელმწიფო და მუნიციპალურ ორგანიზაციებთან. 1994 წლიდან კარიტასი უკვე საქართველოში ჩამოყალიბდა და სამი ათეული წელია აქტიურად არის ჩაბმული ქვეყანაში განხორციელებულ საქველმოქმედო-ჰუმანიტარულ პროცესებში. „საქართველოს კარიტასი“ ჰუმანიტარულ მისიას ახორციელებს ყველგან, სადაც კი ამის აუცილებლობაა. გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს უჭირდა საკვები პროდუქტების მოპოვება, „საქართველოს კარიტასმა“, წმიდა საყდრის სადესპანოს



საქართველოს კარიტასის დელეგაცია იტალიის ქალაქ ბანილიკატში.

მხარდაჭერით, დანიიდან, იტალიიდან და ევროპის სხვა ქვეყნებიდან მიიღო მრავალი ასეული ტონა ჰუმანიტარული ტვირთი, რომელიც სამართლიანად ნაწილდებოდა ყველასთვის, ვისაც კი დახმარება სჭირდებოდა. ამავ ენლებში კარიტასმა თბილისში დააფუძნა ჰუმანიტარული სასადილო, რომელიც წლების განმავლობაში ყოველდღიურად ათეულობით ადამიანს აპურებდა ხარისხიანი საკვებით. 2008 წლის რუსეთის აგრესიის შემდგომ, სექტემბრის პირველი დღეებიდანვე, საქართველოს კარიტასმა უდიდესი ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინა ლტოლვილ მოსახლეობას.

სამი ათწლეულის განმავლობაში, „საქართველოს კარიტასმა“, ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, განახორციელა მრავალი დიდი თუ მცირე პროექტი, რომლის აღნუსხვას „საბას“ ეს ნომერი არ ეყოფა. კარიტასის ჰუმანიტარულ საქმიანობაში აღსანიშნავია მისი უმთავრესი პრინციპი: დაეხმარო ყველას, ვინც საჭიროებს ქველმოქმედებას. არა აქვს მნიშვნელობა კონფესიურობას, უფრო მეტიც, დახმარება გაენევა უკლებლივ ყველას, ნებისმიერი რელიგიის მიმდევრებსაც

და მათაც, ვინც არ აღიარებს არცერთ რელიგიას. სწორედ ამიტომაც კარიტასს ფართოდ უღებენ კარს ყველა ქვეყანაში.

მართალია, კარიტასი კათოლიკური ეკლესიის მიერ არის დაფუძნებული, მაგრამ შორს არის ყოველგვარი პროზელიტიზმისაგან. ამის თვალსაჩინოდ, ერთ ფაქტს მოვიყვან საქართველოს უახლესი ისტორიიდან. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს „საქართველოს კარიტასმა“ თბილისში ააშენა საქველმოქმედო ცენტრი, სადაც ბენეფიციარები მართლმადიდებელი ახალგაზრდები იყვნენ. კარიტასისა და წმიდა საყდრის სადესპანოს გადანყვეტილებით, საქველმოქმედო ცენტრთან აიგო სატაძრო ნაგებობა, ქართული ეროვნული არქიტექტურული ფორმების სრული დაცვით და საჩუქრად გადაეცა საქართველოს საპატრიარქოს; უკვე ორი ათწლეულია, ამ ტაძარში აღესრულება მართლმადიდებლური მსახურება, რომელსაც, კარიტასის ბენეფიციარებთან ერთად, ნაძალადევის უბნის მართლმადიდებელი მრევლიც ესწრება.

„საქართველოს კარიტასის“ საიუბილეო წელთან დაკავშირე-

ბით, გავესაუბრეთ ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის წარმომადგენელს, ლუკა ქიმერიძეს. „საქართველოს კარიტასი“ კათოლიკე ეკლესიის მიერ დაფუძნებული საქველმოქმედო ფონდია, რომელიც ქართულ საზოგადოებაში „სიყვარულის ცივილიზაციის“ დასამკვიდრებლად იღვწის; აქ დაცულია ყოველი ადამიანის ღირსება და ძირითადი უფლებები, უზრუნველყოფილია მშვიდობა, სამართლიანობა, გულმონყალება და სოლიდარობა, საზოგადოებრივი ინტერესები პირად ინტერესებზე მაღლა დგას, ხოლო გარემოს დაცვა საყოველთაო საზრუნავია“, - აღნიშნა მან.

საქველმოქმედო ფონდ „საქართველოს კარიტასის“ ისტორია, ფაქტობრივად, იწყება 1992 წლიდან, როდესაც დანიამ საქართველოს გაუწია ჰუმანიტარული დახმარება, რაც ესაჭიროებოდათ მარტოხელა ხანდაზმულებს, შშმ პირებს, სოციალურად დაუცველ ოჯახებს, საავადმყოფოებს, ომის ვეტერანებს და სხვ. თუმცა, ოფიციალურად, საქართველოს კარიტასმა 1994 წლის 28 ოქტომბერს მოიპოვა „საერთაშორისო კარიტასის“ (Caritas Internationalis) მიერ აღიარება, როგორც არაკომერციული, არასამთავრობო საქველმოქმედო ორგანიზაციისა და მასში განეწიანდა. დღესდღეობით, კარიტასი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი საქველმოქმედო ფონდია, რომელიც აქტიურად მუშაობს სოციალურ, ჯანმრთელობისა და განვითარების სფეროებში.

კარიტასს საქართველოში საკმაოდ მრავალფეროვანი საქველმოქმედო პროექტები აქვს განხორციელებული: მაგალითად, ჰუმანიტარული სასადილო, რომელიც ემსახურება უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრებ ადამიანებს, მარტოხელა ხანდაზმულებს,

ბავშვებს და, ამჟამად, უკრაინელ ლტოლვილებს. ხანდაზმულთა დღის ცენტრი „ჰარმონია“ არა მხოლოდ აკმაყოფილებს სოციალურად დაუცველი მარტოხელა ხანდაზმულების საბაზისო მოთხოვნილებებს, არამედ მხარს უჭერს მათ სოციალიზაციას, ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, სოციალურ აქტივობას, გართობასა და უფლებების დაცვას. ასევე, ძალიან აქტუალური პროექტია ტანსაცმლის შეგროვება და დარიგება, ან მიგრაციის პროექტი, რომელიც მუშაობს მიგრანტების საქართველოში ნებაყოფლობით რეინტეგრაციაზე.

ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობას განამტკიცებს ისეთი პროექტები, როგორცაა დღის ცენტრები, რომელიც სოციალურად დაუცველი ბავშვების გაძლიერებას, ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობასა და ინსტიტუციებში განთავსების პრევენციას ემსახურება; მცირე, საოჯახო ტიპის სახლები, რომელთა მიზანია მზრუნველობამოკლებული ბავშვების ოჯახთან მიახლოებულ გარემოში აღზრდა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადება. ბავშვები უზრუნველყოფილი არიან ოთხჯერადი კვებით, ურიგდებათ სეზონური ტანსაცმელი, ჰიგიენისათვის საჭირო ნივთები. ყველა მათგანისთვის ხელმისაწვდომია ფსიქოლოგის დახმარება, უტარდებათ თემატური შეხვედრები სხვადასხვა თემაზე, როგორც არის ბავშვთა უფლებები და სხვა. ბავშვები იღებენ დახმარებას სკოლაში მიცემული საშინაო დავალების მომზადებაში, აქვთ შესაძლებლობა შეისწავლონ კომპიუტერული პროგრამები კარიტასის ინოვაციური ტექნოლოგიების ცენტრში, ამზადებენ ულამაზეს ხელნაკეთ ნივთებს კარიტასის სოციალურ საწარმოში. სხვა პროექტებთან ერთად, მნიშ-

ვნელოვანია ნმ. ბარბარეს დედათა და ბავშვთა ზრუნვის ცენტრი, მშობელთა მხარდაჭერის პროგრამა, რომლის აუცილებლობა ბავშვების ფსიქო-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მუშაობის პროცესში გამოიკვეთა.

საქართველოს კარიტასს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოში შინმოვლის განვითარების კუთხით, რაც გულისხმობს სამედიცინო და სოციალური მომსახურების მიწოდებას საცხოვრებელ ადგილზე იმ პირთათვის, რომელთაც სხვადასხვა მიზეზის გამო შეზღუდული აქვთ საკუთარი თავის მოვლის უნარი და საჭიროებენ ზრუნვას. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა ასევე მოიცავს სასწავლო-საკონსულტაციო ცენტრს, ზრუნვის სახლს და ქრონიკული ჭრილობების მკურნალობის ცენტრს.

კარიტასი, ასევე, მუშაობს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში. ჯანდაცვის სფეროში, ქუთაისში, ბათუმსა და ოზურგეთში გვაქვს მონყვლადათვის შინმოვლის სერვისი და ქუთაისის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი; სოციალურ სფეროში - ჰუმანიტარული სასაძილო ქუთაისში, მათ შორის, შორ მანძილზე დახმარების ფონდი, უსახლკაროთა თავშესა-

ფარი და „იმედის სახლი“ ბათუმში; ქუთაისის ახალგაზრდულ ცენტრში ბავშვები, სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველი ოჯახებიდან, დახმარებას ლეზლობენ სასკოლო საგნების მომზადებაში, დამატებით სწავლობენ მათემატიკას, ქართულ და ინგლისურ ენებს, ცეკვას, სიმღერას; გარდა ამისა, გამოიმუშავენ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს და სხვ. სამხრეთ საქართველოში გვაქვს ემტიის, არლისა და ვალეს ბავშვთა დღის ცენტრები, რომლებიც ადგილობრივ ბავშვებს ემსახურებიან და ქმნიან საგანმანათლებლო და გასართობ სივრცეს. შინმოვლის სამსახური სამხრეთ საქართველოშიც მუშაობს.

ერთ, მეტად მნიშვნელოვან საკითხზეც მსურს მკითხველის ყურადღების შეჩერება; როდესაც ვსაუბრობთ არასამთავრობო ორგანიზაციებზე, განსაკუთრებით კი საქველმოქმედო სფეროში მოქმედ სამსახურებზე, მნიშვნელოვანია მათი დაფინანსების წყაროების, დონორებისა და, რაც მთავარია, დახარჯული თანხების შესახებ ინფორმაციაზე წვდომა. რა საშუალებებით ხდება მაღალბიუჯეტური დაფინანსება, როგორ ნაწილდება ეს



საქართველოს კარიტასი წლის განმავლობაში დახმარებას უწევს ათასზე მეტ ბავშვსა და ახალგაზრდას, ორმოცდაათზე მეტ მასწავლებელსა და სხვა სპეციალისტს, პროექტში ჩართულ ორმოცდაათზე მეტ სტუდენტს.

საგანგებო ჩანართი

თანხები, რამდენად ეფექტური შედეგი მოაქვს ამა თუ იმ განხორციელებულ პროექტს. „საქართველოს კარიტასის“ შემთხვევაში, ეს წყაროები ღია და საჯაროა.

„საქართველოს კარიტასის“ პროექტები ხორციელდება სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციიდან და ფონდიდან მოძიებული დახმარების წყალობით, კერძოდ კი, სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი დონორების მეშვეობით, ხოლო ერთჯერადი დახმარებები - კარიტასის სტუმრებისა და ვიზიტორების თანადგომითა და შემოწირულობით. მოსახლეობის სოციალურ დაცვასთან დაკავშირებით, საქართველოს კარიტასი თანამშრომლობს მთავრობასთან და ახორციელებს პროგრამებს, რომლებიც ნაწილობრივ ფინანსდება საქართველოს მთავრობის მიერ. საქართველოს კარიტასის შემოსავლის კიდევ ერთი წყაროა სოციალური სანარმოები, რომლებიც შექმნილია ორგანიზაციის სოციალურ მიზნებში ინვესტირებისათვის. ამ სანარმოთა მიერ გამომუშავებული, ასევე საქართველოს

კარიტასის ფასიანი სერვისებით მიღებული შემოსავალი უკანვე უბრუნდება ორგანიზაციის მისიას.

და კიდევ ერთი დეტალი: შესაძლოა, მავანმა იფიქროს, რომ ჩემს გარშემო ამდენი გაჭირვებულია და მათ კარიტასი არ ეხმარებაო. კი ბატონო, ჩვენს ქვეყანაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, მრავალი გაჭირვებულია და ყველას ერთი რომელიმე საქველმოქმედო ორგანიზაცია, თუნდაც მეტად მაღალბიუჯეტური, ვერ გასწვდება. ამიტომაც, რაც არ უნდა მრავალი საქველმოქმედო ორგანიზაცია ფუნქციონირებდეს, მთავარი მაინც სამთავრობო სტრუქტურების მიერ აღმოჩენილი ხელშეწყობა და დახმარებაა. კათოლიკე ეკლესიას კი, რომლის მრევლის ხვედრითი წილი ქვეყანაში 0,5 პროცენტია, და საქართველოში მოქმედ რელიგიათა შორის მეოთხე ადგილზეა, ვერ მოვთხოვთ შეჭირვებულ ადამიანთა პრობლემის სრულად გადაწყვეტას.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკუთარი გამოცდილება „საქართველოს კარიტასის“ საქველმოქმედო პროექტებთან მიმართებაში: რამდენიმე წლის წინ ვსტუმრობდი

ნინონმინდის მუნიციპალიტეტში სოფელ ეშტიას, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კათოლიკეა, მოქმედებს კარიტასის ადგილობრივი ფილიალი, ეშტიელი მოზარდებისათვის არის სხვადასხვა ინტერესთა წრე, მათ შორის, ქართული ენის შემსწავლელი, რომელიც კარიტასის აქტივობით გაიხსნა. სწორედ ამ წრის დამსახურებაა, რომ ჯავახეთის სოფელში, სადაც ვერ მოხერხდა მოსახლეობისათვის სახელმწიფო ენის შესწავლისათვის ხელშეწყობა, ვერც საბჭოთა ხელისუფლების, ვერც დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ ეპოქაში, დღეს მასში გაერთიანებული მოზარდები თავისუფლად საუბრობენ ქართულ ენაზე, რაც ამ რეგიონის მოსახლეობის ინტეგრაციის საუკეთესო საშუალებაა. ასე რომ, „საქართველოს კარიტასი“, თავისი საქმიანობის 30 წლის განმავლობაში, მრავალრიცხოვან მოხალისესთან ერთად, ნამდვილად ეროვნულ საქმეს ახორციელებს და სწორედ ეს არის სახარების სიხარულით განეული ქრისტიანული სამოქალაქო მსახურება.



ბავშვთა დღის ცენტრი „მზესუმზირები“. სპექტაკლი.



ლების შვილები, ბიჭი და გოგონა, რომლებმაც პაპსა და პატრიარქს ყვავილები მიართვეს. წმიდა მამა დასასვენებლად განმარტოვდა, საღამოს კი მცხეთაში პატრიარქს ესტუმრა. მეამაყებოდა, რომ „კარიტასი“ წმიდა მამას მასპინძლობდა უსახლკაროთა სახლში, რომელიც უპოვართათვის ავადგეთ. წმიდა საყდრის თხოვნით, პაპს ძალზე უბრალოდ განყოფილი ოთახი გამოუყავით. ეს მოკრძალებული, მაგრამ ლამაზი ავეჯი ჩვენმა იტალიელმა მეგობარმა, სადურგლო საამქროს მფლობელმა, მარიო ძენიმ, საჩუქრად გამოგვიგზავნა. მახსოვს, რომიდან, წმიდა მამის პირადი საწოლებიდან ჩამოვიტანე მისი ორი ფოტოსურათი: ერთი პატარაობისა, დედის კალთაში, მეორე კი ახალგაზრდობისა, მღვდელად ხელდასხმისთანავე გადაღებული. თავის ოთახში შესულ პაპს ამ სურათების ხილვამ გული აუჩუყა... დაუსრულებლად შემიძლია ვისაუბრო იმაზე, თუ რაოდენ დაუვიწყარი და ამაღლებელი იყო ჩემთვის წმიდა მამასთან სიახლოვე, მიუხედავად იმისა, რომ წარსულშიც ბევრჯერ მყავდა იგი ნანახი და წირვაც არაერთხელ აღმივლენია მასთან ერთად. მაგრამ ახლა ყველაფერი სხვაგვარად იყო...

მეორე დღით, 9 ნოემბერს, პაპმა აკურთხა სახლი და სამლოცველო. ამ ცერემონიას ესწრებოდნენ „კარიტასის“ თანამშრომლებიც, რომლებმაც ასევე მიიღეს პაპის კურთხევა. სპორტის სასახლეში ჩატარებული წმიდა წირვის შემდეგ, სასადილოდ დავბრუნდით. სადილზე ათამდე ადამიანი იმყოფებოდა. პაპი კარგ ხასიათზე იყო და ხშირად ხუმრობდა. სადილის შემდეგ ხელი მომკიდა და სახლის დასათვალიერებლად წამიყვანა. მერე პოლონურად მკითხა, თუ როგორი იყო ჩემი გეგმები. ვუპასუხე, რომ ბავშვთა სახლის აშენება მსურდა, მათ შორის, უპატრონო ბავშვებისთვისაც. „კარიტასი“ უკვე ზრუნავდა ამგვარ ბავშვებზე, მაგრამ, ქირით აღებული ერთი ბინის გარდა, არაფერი გვექონდა მათთვის. პაპმა მომიწონა ეს წამოწყება და გამამხნევა. ვუთხარი, რომ ჯერ მიწის ნაკვეთი უნდა მეყიდა, მა-

გრამ საამისო თანხა არ მქონდა. ავუხსენი, რომ მიწის ნაკვეთის ფასი 65 000 დოლარი იყო, „კარიტასს“ კი მხოლოდ 15 000 დოლარი ჰქონდა. ასე რომ, 50 000 დოლარი გვაკლდა.

წმიდა მამა მოსასვენებლად გავიდა და ორი საათის შემდეგ 50000-დოლარიანი ქვითარი გადმომცა. გარდა ამისა, მისახსოვრა ინდოეთსა და საქართველოში ვიზიტისათვის განკუთვნილი ლოცვების წიგნი თავისი ხელმოწერით და „კარიტასისადმი“ მიძღვნილი ლოცვა-კურთხევით. ეს წიგნი დღეს „კარიტასის“ არქივში ინახება. ქვითრის გადმოცემის შემდეგ, პაპმა მოსახლამი მოიცვა, მკლავზე ხელი ჩამჭიდა და მითხრა: „წავიდეთ სამლოცველოში და ერთად ვილოცოთ“. ამ სიტყვებმა სულის სიღრმემდე შემძრა. შევედით სამლოცველოში, რომელსაც ბატონ ამირან გოგლიძის მიერ შექმნილი ხატები ამშვენებდა. იქ მარტონი ვიყავით და 10-15 წუთი დავრჩით. ეს ერთ-ერთი საუკეთესო წუთებია ჩემს ცხოვრებაში. სამლოცველოდან გამოსულნი მანქანისაკენ გავემართეთ, წმიდა მამა უნდა შეხვედროდა პრეზიდენტ შევარდნაძეს, კულტურისა და მეცნიერების მუშაკებს, კათოლიკეებს წმ. პეტრესა და წმ. პავლეს ტაძარში.

რამდენიმე სიტყვას დავამატებდი: დაახლოებით 40 დღის შემდეგ რომში გავემგზავრე და წმიდა მამას ვესტუმრე. კვირა საღამო იყო. ვისაუბრეთ. პაპი იჯდა, მე მის წინაშე მუხლი მოვიყარე. შემომხედა და მითხრა: „შენ საქართველოდან ხარ“. „დიახ, თქვენო უწმინდესობავ“, - ვუპასუხე მე. „წუნციატურიდან ხარ, კარიტასიდან...“. გაოცებული შევყურებდი, ჩვენი ბოლო შეხვედრიდან ხომ 40 დღე იყო გასული... მერე მკითხა: „რამდენი ღარიბი ცხოვრობს იმ უსახლკაროთა სახლში? საჭმელი აქვთ? ყველაფერი გაქვთ, რაც საჭიროა? ფული გაქვთ საჭმლის საყიდლად?“. მრავალი წელი ვიცნობდი მას (1993 წლიდან, როცა წუნციატურაში დავიწყე მუშაობა), არაერთხელ შეხვედრივარ სხვადასხვა ადგილას და დროს, და ყოველთვის მეკითხებოდა ღარიბების, „კარიტასისა“ და ჩვენი საქველმოქმედო პროექტების შესახებ.

მისი უწმინდესობა ყოველთვის მირჩევდა, მეთანამშრომლა მართლმადიდებელ ეკლესიასთან. მან მითხრა: „ღარიბების დახმარებით „კარიტასს“ ხიდი უნდა გადოს ეკლესიათა შორის“. ეს სიტყვები ახლაც ყურში ჩამესმის. და საქართველოში ყოფნის 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ყოველთვის ამ სულისკვეთებით ვმუშაობდი. მწამს, რომ პაპი იოანე პავლე II, უკვე მამის სახლში მყოფი, კვლავაც გვეხმარება, აქაა, ჩვენთანაა, რათა ხელი გაუმართოს ღარიბებს.

ულრმესი მადლობა ყოველივესთვის, წმიდა მამაო!

როგორ მახსენდება რომის პაპ იოანე პავლე მეორის სტუმრობა საქართველოში



ბრობდენ საქართველოს წინაღმდეგ რაღაც დიდ მასონურ შეთქმულებაზეც, რომელშიც რომის პაპი იყო ჩართული.

მიუხედავად იმისა, რომ აეროპორტში იოანე პავლე მეორეს დახვდნენ უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტი და პატრიარქი, სინოდის რამდენიმე წევრთან ერთად, მასპინძლობა, მაშინდელი გადმოსახედიდან, საკმაოდ ცივი გამოდგა. კათოლიკე ეკლესიამ ვერ მიიღო თანხმობა რიყეზე ღია საზეიმო წირვის გამართვის შესახებ, ამიტომ ლიტურგია სპორტის სასახლეში ჩატარდა, რომელსაც მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირები არ დასწრებიან, ხოლო იმ მართლმადიდებლებს, ვინც

იმ დროს, 1999 წელს, თბილისის სასულიერო სემინარიაში ვსწავლობდი და მახსოვს, ჩვენ შორის დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა ცნობას იმის შესახებ, რომ ნოემბერში საქართველოს რომის პაპი, იოანე პავლე მეორე უნდა სწევოდა. ზოგი ამბობდა, რომ ეს ვიზიტი პირადად ედუარდ შევარდნაძის დამსახურება იყო, რადგან ამ გზით მაშინ ყველასგან მივიწყებული და ჩაბნელებული საქართველო მსოფლიო მედიის ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებოდა, - იყო ამაში რაღაც აზრი; ზოგი ამბობდა, რომის პაპმა ჩეჩნეთის მხარდამჭერი განცხადება უნდა გააკეთოს და ამიტომ ჩამოდის კავკასიაში, - კავკასიიდან უფრო მძლავრად გაისმება მისი სიტყვები; მახსოვს შავზნელი, კონსპირაციული მოტივების მთელი წყებაც, თითქოს რომის პაპის ვიზიტს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ეკუმენურ საბჭოში დაბრუნება უნდა მოჰყოლოდა, - ეკუმენიზმი ხომ იმ დროს აქ ყველაზე მძიმე ცოდვად, რაღაც დიდ აპოსტასიად იყო მიჩნეული. გარდა ამისა, როგორც ამბობდნენ, თვითონ კათალიკოს პატრიარქ ილია მეორეს არ სურდა, იოანე პავლეს საქართველოში მოწვევა და მხოლოდ ედუარდ შევარდნაძის დაჟინებულმა მოთხოვნამ გადააწყვეტინა, შესაბამისი წერილი გაეგზავნა პაპისთვის. როგორც ყოველთვის, საუ-

წირვაზე იყო, საპატრიარქომ საეკლესიო სასჯელები და ღრუბით ზიარებისაგან განწყენება განუჩინა, მათ შორის, უშუალოდ ედუარდ შევარდნაძესაც. სვეტიცხოველში მისული რომის პაპისა და ილია მეორის ერთობლივი სანთლის დანთებაც იმ მართლმადიდებლების აზრით, ვისთვისაც რომის ეკლესია მწვალებლურად იყო მიჩნეული, თითქოს უმძიმეს ცოდვაში გვაგდებდა.

ასეთი იყო 25 წლის წინ, ჩემს თვალსაწიერში, რომის პაპის საქართველოში ვიზიტის უშუალოდ საეკლესიო ატმოსფერო, იმ პაპის ვიზიტისა, რომელიც აცხადებდა, რომ მართლმადიდებელი და კათოლიკე ეკლესია დები არიან, რომ ისინი მარცხენა და მარჯვენა ფილტვია, რითაც სუნთქავს ქრისტეს ეკლესიის სხეული.

თუმცა იმ ადამიანებს, ვინც გახარებული და ბედნიერი იყო რომის პაპის საქართველოში ჩამოსვლით, ყოველგვარი კონსპირაციისა და ეჭვების მიღმა, სიხარულისათვის გაცილებით დიდი და ნამდვილი საფუძველი ჰქონდათ: იმათთვის, ვინც ჩემსავით ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტური განწყობით იყო გამსჭვალული, რომის პაპი საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ერებისა და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური რეჟიმებისაგან

გათავისუფლების მთავარი ხმა და სიმბოლო იყო მსოფლიოში, - რეიგანთან, მარგარეტ ტეტჩერთან და ცნობილ დისიდენტებთან ერთად. იმათთვის, ვისთვისაც ეკლესიის სხეულის გამთლიანება იყო სანატრელი მიზანი, იყო იმედი, რომ იოანე პავლეს თამამი ნაბიჯებით აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქრისტიანო კიდეე უფრო მეტად დაახლოვდებოდა; იმ ქართველებისათვის, ვინც კარგად იცნობდა საქართველოში კათოლიკობის დიდებულ, მაგრამ, იმ დროს ისტორიის სახელმძღვანელოებიდან უკვე საგულდაგულოდ ამოშლილ ისტორიას, იცნობდა იმას, თუ რა ამაგი და წვლილი ჰქონდა კათოლიკე ეკლესიას ჩვენში პოლიტიკური აზრის, კულტურის, მედიცინის, მეცნიერების, მნიგნობრობის, ეკონომიკის განვითარებაში შეტანილი, რომის პაპის ვიზიტი კათოლიკე ეკლესიის მთელი თავისი მშვენიერებით წარმოჩენის წინაპირობა იყო.


ურთულეს მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოსათვის, მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის რომის ეკლესიის მწყემსმთავრის ისტორიაში პირველი ჩამობრძნება სამომავლოდ განვითარების სწორი გზების დანახვის საფუძველიც უნდა გამხდარიყო. კათოლიკე ეკლესია ყოველთვის დასავლეთთან პოლიტიკური და სტრატეგიული კავშირის განმტკიცების გზაზე ძლიერ მხარდამჭერად აღიქმებოდა და, უმეტესწილად, ჩემი აზრით, სწორედ ამ კონტექსტში მოიაზრებოდა რომის პა-

პის ვიზიტიც. მაგრამ, რაც მთავარია, იოანე პავლე მეორის საქართველოში ჩამოსვლა იყო დიდი იმედი თავად საქართველოს კათოლიკეებისათვის, რომლებიც მაშინაც იმავე გამოწვევების წინაშე იდგნენ, რაც კათოლიკეთა წინაშე ახლაც მწვავე საკითხად დგას: ჩამორთმეული და იერსახეშეცვლილი კათოლიკური ტაძრები, აგრესიული და შეურაცხმყოფელი ანტიკათოლიკური პროპაგანდა, რელიგიური შეუწყნარებლობა და დევნა, სახელმწიფოს მხრიდან ახალი ეკლესიების აშენების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება, და კიდეე სხვა მრავალი დაბრკოლება, რომელსაც ჩვენი გარემო დღესაც უქმნის კათოლიკე მორწმუნეებს.

ამ ფონზე, საქართველოს მთავრობისა და ეკლესიის მხრიდან პონტიფექსის მასპინძლობა ალბათ ფარისევლობის ელემენტებსაც შეიცავდა და ეს, საბოლოოდ, კარგად გამოჩნდა იმაში, რომ იოანე პავლეს სტუმრობის შემდეგ, კათოლიკე მრევლისადმი დამოკიდებულების კუთხით, ქვეყანაში ბევრი არაფერი შეცვლილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ბევრი რამ შეიცვალა თავად კათოლიკე ეკლესიის მხრიდან, რომელმაც გააორმაგა საქართველოში ადამიანის მხარში დგომა: კიდეე უფრო გაძლიერდა ჰუმანიტარული, სოციალური მხარდაჭერისა და განათლების ხელშეწყობის საქმე, ხოლო ევროპაში საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას საღვთისმსახუროდ არაერთი კათოლიკური ტაძარი დაეთმო, ან გადაეცა.



ნიკოლა პერინი



ნიკოლა პერინი (Nicola perin) დაიბადა 1998 წლის 2 თებერვალს იტალიის ქალაქ როვიგოში (Rovigo). მისი ოჯახი ცხოვრობდა ბორსეაში (Borsea-როვიგოს მუნიციპალიტეტი), სადაც იგი მონათლეს San Zenone-ს სამრევლო ეკლესიაში. ღრმადმორწმუნე დედ-მამისა და ბებია-ბაბუის წყალობით, ნიკოლა ადრეული ასაკიდანვე ეზიარა ქრისტიანულ ღირებულებებს. ცხრა წლისამ მიიღო პირველი ზიარება, 2012 წლის ოქტომბერში კი - მირონცხების საიდუმლო. ნიკოლა მხიარული, გონიერი, მოსიყვარულე ბიჭი იყო, ამავე დროს, მტკიცე თავის გადაწყვეტილებებში. ექვსი წლის ასაკში მან რეგბის თამაში დაიწყო, სპორტმა მას გამოუმუშავა პასუხისმგებლობის გრძობა, ასწავლა მონინალმდევის პატივისცემა, თავდადება, მეგობრობა, საქმისადმი ერთგულება, გუნდური მუშაობა და გამბედაობა. რეგბის გარდა, იგი, ასევე, გატაცებული იყო თევზაობით.

სკოლაში ნიკოლა წარჩინებით სწავლობდა. მასწავლებლები ხშირად აქებდნენ მას კარგი მანერებისა და ყველას მიმართ პატივისცემის გამო. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ნიკოლა შევიდა გეოდეზიის ინსტიტუტში. სწავლის პარალელურად, იგი აგრძელებს რეგბის თამაშს; სიმტკიცის, გამბედაობისა და შეუპოვრობის წყალობით, იგი მიიწვიეს რეგიონალურ ვარჯიშებზე. ნიკოლა გუნდში Monti Junior Rovigo ნახევარმცველია და თამაშობს 9 ნომრით. მეგობრობს ყველასთან, განურჩევლად ასაკისა, საოცრად გულკეთილია და ყოველთვის ეხმარება სხვებს. მისი ასაკის ბავშვებისაგან იგი გამოირჩეოდა იესოსადმი ძლიერი რწმენითა და დიდი სიყვარულით. ნიკოლამ იცოდა, თუ რა მშვენიერია მიჰყვე ქრისტეს სწავლებას

და მიბაძო მას, თუნდაც ეს არ იყოს ყოველთვის იოლი. თავის დღიურში იგი წერს: „მიტევების, მეგობრობის, სოლიდარობისა და სტუმართმოყვარეობის განცდა ყოველდღიურად დიდ სიხარულს მანიჭებს“. ნიკოლას პატივს სცემენ და აფასებენ მეგობრები და ეს საშუალებას აძლევს მას იქადაგოს სახარება კრიტიკისა და დაცინვის შიშის გარეშე. მიუხედავად ყმანვილური ასაკისა, იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ხიბლით, რაც მის სიტყვასა და მოქმედებას ავტორიტეტულს ხდიდა.

2013 წელს თხუთმეტი წლის ნიკოლამ იგრძნო, რომ სუნთქვა ეკვროდა და ძალიან მალე იღლებოდა. ამიტომ მას გაუკეთდა სისხლის ანალიზი, რამაც ცუდი შედეგი აჩვენა. საფუძვლიანი გამოკვლევისათვის ნიკოლა პადუის ბავშვთა ონკოპემატოლოგიურ საავადმყოფოში დააწვინეს, სისხლის განმეორებითი ანალიზისა და ძვლის ტვინის ბიოფსიის შედეგად, მას დაუდგინდა ლეიკემია. გამოჯანმრთელების ერთადერთი საშუალება ძვლის ტვინის გადანერგვა იყო. ნიკოლამ გააცნობიერა, რომ მისი გამოჯანმრთელება დამოკიდებული იყო არა მხოლოდ ექიმებზე, არამედ მის ძალაზე და, უწინარესად, ღვთაებრივ განგებულებაზე. მაგრამ ავადმყოფობის მძიმე რეალობა სულაც არ ითვალისწინებდა მისი რწმენის გასაოცარ ძალას. ნიკოლა ხშირად უმეორებდა მეგობრებს: „ნუ იტყვიოთ უარს სიყვარულზე და ნუ შეგეშინდებათ, მიუძღვნათ თავი სხვებს“, რადგან მან იცოდა, რომ ცხოვრება ხანმოკლეა და არ შეიძლება, ფუჭად დაიხარჯოს უსარგებლო და უაზრო საგნებზე. ნიკოლასა და მისი მშობლების ცხოვრება ამიერიდან ძირეულად იცვლება. თითოეული მათგანისათვის საავადმყოფო მეორე

სახლად იქცევა. ნიკოლა, როგორც დიადი მეომარი, დაავადებას ღირსეულად და საშურველი ღიმილით ხვდება. პადუის ჰოსპიტალში ის აგრძელებს სწავლას განყოფილებაში მომუშავე მასწავლებლების წყალობით, ასევე, სკაიპის საშუალებით უკავშირდება როვიგოს პროფესორებს. ეს შესაძლებლობა ნიკოლას ხანდახან უმსუბუქებს მდგომარეობას. ასეთი სიმტკიცისა და თავდადებისათვის მას სტიპენდია ენიშნება. საოცრად თავმდაბალი და უბრალო ნიკოლა, სასიამოვნო ღიმილითა და სანდომიანი გამოხედვით, უფრო მეტად შეიგრძნობს ცხოვრების სიყვარულს, მძაფრ სურვილს, არ დანებდეს და იბრძოლოს სიცოცხლისათვის. ძვლის ტვინის გადასანერგად დიდხანს ეძებეს თავსებადი დონორი საერთაშორისო რეესტრის მეშვეობით, მაგრამ ამაოდ. 2014 წლის 15 იანვარს ნიკოლას დონორი გახდა მამა, რომელმაც მას სიცოცხლე მეორედ აჩუქა. თუმცა, ივნისში დაავადებამ ისევ იჩინა თავი.

კაპუცინი მამა ჯანლუიჯი პასკუალე, რომელიც ნიკოლას სულიერი მოძღვარი იყო, აღიარებს: „როდესაც ნიკოლა მოვინახულე საავადმყოფოში, სანოლზე მწოლარე, მის მშვენიერ ზურმუხტოვან-მწვანე თვალებში მე დავინახე რწმენის კაშკაშა სხივი, სხივი, რომელიც შემდეგ ჩემს თვალებში აირეკლა“. მოგვიანებით მამა ჯანლუიჯიმ ჰკითხა ნიკოლას, ხომ არ სურდა ავადმყოფთა ზეთისცხების საიდუმლო მიეღო, იგი მაშინვე დათანხმდა, გაშალა თავისი უღონო, სუსტი ხელები, რათა წმიდა ზეთი ეცხო, შემდეგ შუბლზე გამოუსახა მამა ჯანლუიჯიმ ჯვარი. სიმშვიდე დაეუფლა ნიკოლას, იმედი მოეცა და ლოცვით შესთხოვა უფალს: „შენი წმიდა სულის ძალით, გთხოვ, განკურნო ჩემი სული და, თუ იქნება ნება შენი, ჩემი სხეულიც“.

იმავე წლის ნოემბერში ნიკოლას გაუკეთდა მეორე ტრანსპლანტაცია. დონორი კი ამჯერად მისი დედა,

ადრიანა, იყო. სამწუხაროდ, ზუსტად სამი თვის შემდეგ, ავადმყოფობამ ისევ იჩინა თავი, უფრო ძლიერად, ვიდრე ოდესმე. როგორც ჯანმრთელობის პერიოდში, ისე ავადმყოფობის დროსაც, საავადმყოფოში მწოლარე ნიკოლა არ ფიქრობდა მხოლოდ საკუთარ თავზე, ლოცვის დროს, ის შემწეობასა და ნუგეშისცემას სთხოვდა უფალს იქ მოფი ყველა ავადმყოფისათვის. ჰოსპიტალში ამჯერად ნიკოლა მოინახულა მისმა სამრევლოს მღვდელმა, დონ სილვიო ბაკარომ და მათ ერთად ილოცეს. ხოლო მის სანახავად მოსულ მამა ჯულიანო ფრანცანოს ნიკოლა გამოუტყდა: „ვიცი, რომ იესო ახლოსაა ჩემთან, რომ ვუყვარვარ და მეხმარება, ამიტომ მე აღვასრულებ მის ნებას“.

2015 წლის ოქტომბერში ნიკოლა, რომლის სიცოცხლის დღეები უკვე დასასრულს უახლოვდებოდა, მოინახულა პადუის ეპისკოპოსმა, მონსინიორ კლაუდიო ციპოლამ. ამქვეყნიდან წასვლამდე ორი დღით ადრე, ნიკოლამ სთხოვა მოძღვარს, დახმარებოდა პირფრის გამოსახვაში, რადგან თავად ღონე აღარ ჰქონდა, თუმცა არ სურდა დანებებოდა დაავადებას, რომელმაც მას წაართვა ფიზიკური ძალა, მაგრამ არა იმედი.

2015 წლის 24 დეკემბერს, შობის ღამეს, 17 წლის ნიკოლა ზეცას დაუბრუნდა. დაკრძალვის ცერემონია ჩატარდა ბორსეაში, სამრევლო ეკლესიაში, რომელიც სავსე იყო მისი ოჯახის წევრებით, ნათესავებით, მეგობრებითა და ახალგაზრდებით... თეთრ კუბოს, რომელშიც ესვენა ნიკოლა, რეგბის გუნდის მაისური ეფარა... ქადაგებისას მამა ჯანლუიჯი პასკუალემ წარმოთქვა: „შენ არასოდეს დაგიკარგავს რწმენის სიმტკიცე. ჭეშმარიტად, შენ მუდამ ისროდი ანკესს ღვთის სიყვარულის უსაზღვრო ზღვაში“.

ნიკოლა პერინი განისვენებს ბორსეას სასაფლაოზე.



მომლოცველობა ტრაპიზონში



2025 წლის 24 ივნისს ბათუმის სულიწმიდის კათოლიკური ეკლესიის კურთხევიდან 25 წელი სრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით, ჩვენმა მოძღვარმა, მამა გაბრიელემ, გადაწყვიტა, წლის განმავლობაში, ყოველი თვის 24 რიცხვში მოეწყოს სხვადასხვა ღონისძიება.

ამა წლის 24 სექტემბერს გავემგზავრეთ ტრაპიზონში და მოვიწვევებთ მცირე აიასოფია, ღვთისმშობლის შობის კათოლიკური ეკლესია და სუმელის მონასტერი. ბათუმის მრევლთან ერთად იმყოფებოდა მამა ბექა და ქუთაისის მრევლის წევრები, ქალბატონები ნანა ნებიერიძე და ნატა ვარლამიშვილი. გავიარეთ სარფის საბაჟო; ცვალებადი ამინდი იყო, ხან მზე გამოანათებდა, ხან ღრუბელი ჩომონებოდა და განვიმდებოდა; დათქმულ ადგილს როგორც კი მივალწევდით, მშვენიერი ამინდი გვხვდებოდა, ვფიქრობ, ეს იმას მიაწინებდა, რომ წმიდანები ჩვენთვის ლოცულობდნენ.

ჩავედით ტრაპიზონში, იქ მოვილოცეთ და დავათვალიერეთ მცირე აიასოფია; ტაძრის ნახევარი მხარე არის ქრისტიანული, აქ ფრესკები დაზიანებულია, ნახევარი - მოქმედი მეჩეთი. გადავიღეთ სამახსოვრო ფოტოები, შემდეგ კი გავემგზავრეთ ღვთისმშობლის შობის კათოლიკური ტაძრის მოსანახულებლად. იქ მასპინძლობა გაგვინია ეკლესიის წინამძღვარმა, მამა ლეონარდომ, რომელიც ბრახილიდან არის, გაგვაცნო ეკლესიის ისტორია; სწორედ აქ, ლოცვის დროს, მუსლიმმა ფუნდამენტალისტებმა დახვრიტეს კათოლიკე მღვდელმსახური, მამა ანდრეა სანტორო, რომელიც კათოლიკე ეკლესიის მისიონერული პროგრამის Fidei donum წევრი იყო. აქვე დაცულია მისი სამოსი, რომელიც იმ დღეს ემოსა, გამოყოფილია სალოცავი ადგილი, სადაც სანთლები დავანთეთ მისი სულის მოსახსენიებლად.

წმიდა წირვა აღავლინა მამა გაბრიელემ, მამა ბექასთან ერთად. დიდი მადლობა მათ ლამაზი წირვისათვის. წირვის შემდეგ ძალიან გულთბილად გაგვიმასპინძლდნენ მამა ლეონარდო და მოწყალების დები; ერთი და არგენტინიდანაა, მეორე - ეგვიპტიდან. ისინი მისიით ჩამობრძანდნენ თურქეთში; გვიამბეს, თუ რა რთულ პირობებში უწევთ

მოლოცვა ნანი გაგანავა

თავიანთი მისიის შესრულება. გადავიღეთ სამასოვრო ფოტოები და გამოვემშვიდობეთ მათ.

გეზი ავიღეთ სუმელის მონასტრისაკენ. სახელწოდება სუმელა ბერძნულად „შავ მთას“ ნიშნავს, ხოლო ლაზურად - „სამებას“. სუმელა IV-V საუკუნეში კლდეში გამოკვეთილი მართლმადიდებლური მონასტერია, მდებარეობს ტრაპიზონთან ახლოს. საინტერესოა მონასტრის დაარსების ისტორია. სხვადასხვა წყაროს მიხედვით, მის დამაარსებლად ითვლება ათენელი ბერი ბარნაბე, რომელიც 375-395 წლებში ცხოვრობდა, ხოლო VI საუკუნეში, არაბების თავდასხმის შედეგად დანგრეული მონასტერი აღუდგენია წმიდა სოფრონს.

სუმელას მონასტერი მთიან რეგიონშია აღმართული, ის კლდის თითქმის ზედა ნაწილზეა გამოკვეთილი. ბუნება აქ ძალიან ლამაზია. მონასტერში ულამაზესი ფრესკები დღემდეა შემორჩენილი, წმიდანთა გამოსახულებები დაზიანებულია: თვალეზღაჩიჩქნილი და სახედაკანრული, რამაც ყველას გვატკინა გული. ამჟამად მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები ტურისტების მისაზიდად. იქვე არის ოთახი, სადაც მონიტორით გადმოსცემენ მონასტრის ისტორიას. ასე გულნატკენებმა დავტოვეთ სუმელას მონასტერი და დავბრუნდით ბათუმში. თუმცა ეს დღე ჩვენთვის მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი იყო.

დიდი მადლობა მამა გაბრიელეს ასეთი ლამაზი დღე რომ გვაჩუქა ბათუმელებს. მადლობა უფალს მშვიდობიანი მოგზაურობისათვის.



ომი და ბავშვები: როგორ ავუხსნათ ბავშვებს ომი?



1947 წლის 25 ივნისს გამოქვეყნდა წიგნი „ანა ფრანკის დღიური“, რომელმაც სრულიად განსხვავებულად, ბავშვის თვალთ დაგვანახა ომის სამინელება... ეს არის ტრაგიკული ამბავი პატარა, ქვიანი, მეოცნებე გოგონასი, რომელიც კაცთმოძულეობასა და ფაშიზმს ემსხვერპლა. იგი თავის ფიქრებს დღიურს უმხელდა სწორედ იმ დროს, როცა მისი ოჯახი ნაცისტებს ემალეობდა. ანა ფრანკის დღიური შეგვახსენებს, რომ უფროსების მიერ დაგემილ და განხორციელებულ ომებს ეწირებიან ყველაზე დაუცველი, უმანკო, მეოცნებე და გულუბრყვილო ადამიანები - ბავშვები...

2022 წლის 24 თებერვლიდან, ფოტოების, ვიდეოების, რეპორტაჟების მეშვეობით, კიდევ უფრო განსხვავებული სიმძაფრით შემოიჭრა ომი ყველა ჩვენგანის ყოველდღიურ საუბრებსა და ფიქრებში. ტელევიზიისა და სმარტფონების მეშვეობით ვხედავთ ომის სამინელ სურათებს, ომმა დაიპყრო როგორც ჩვენი, უფროსების, თვალი და გონება, ასევე პატარების, ანუ მათი, ვისაც ნაკლებად შესწევთ უნარი, როგორც შემეცნებითი, ისე ემოციური თვალსაზრისით, თავი დაიცვან ტკივილისაგან და გაიაზრონ ისეთი ტრაგიკული მოვლენა, როგორცაა ომი, მაშინაც კი, როცა ამას უშუალოდ არ განიცდიან, თუმცა მათში შეიძლება ინვედეს შფოთისა და შიშის გრძნობას.

ბავშვები ბუნებით ცნობისმოყვარენი არიან, როდესაც ხედავენ, რომ უფროსები რაიმეზე სერიოზული გამომეტყველებით საუბრობენ, სურთ გაერვენ საქმის ვითარებაში. შეიძლება ბავშვისთვის რთული იყოს ომის კონცეფციის ახსნა, მაგრამ მთავარია ვეცადოთ და გავაცნობიეროთ, თუ რატომ არის ეს მნიშვნელოვანი. ადვილი არაა ბავშვებთან ომზე საუბარი, უფროსები ხშირად სირთულის წინაშე აღმოჩნდებიან; უნდა მოვუხმინოთ, რას გვეკითხებიან ჩვენი შვილები, რა აქვებთ მათ და მოვიფიქროთ, როგორ გავუქარწყლოთ შიში, როგორ დავამშვიდოთ პატარები. ფსიქოლოგები გვიჩვენებენ, რომ აუცილებელია ბავშვებთან გულახდილი საუბარი, რათა დავებმართოთ მათ რეალობის აღქმაში. პატარებთან ომის თემაზე სასაუბროდ იტალიაში ფსიქოლოგთა ერთმა ჯგუფმა უფროსებისათვის ჩამოაყალიბა ჰიპოთეზური დეკლოგი:

1. არ მისცეთ 10 წლამდე ბავშვებს უფლება, უყურონ საინფორმაციო გამოშვებას - გვიჩვენებენ ფსიქოლოგები. ეკრანზე ნანახი ომის სამინელი კადრებით შეშინებული ბავშვები უფრო მონყვლადები და დაუცველები არიან, ამიტომ ისინი უნდა ვანუგეშოთ: „დამშვიდდი, მე აქ ვარ, დავიცავ და დავიფარავ“.

2. ყურადღება მიაქციეთ ფიზიკურ სიმპტომებს - ზრდასრულისაგან განსხვავებით, ბავშვი ვერ აცნობიერებს თავის ემოციურ მდგომარეობას, ამ დროს ის ხშირად სომატურ სიმპტომებზე მიგვანიშნებს, ამბობს, რომ სტკივა კუჭი ან თავი, უჭირს დაძინება, ან ღამით იღვიძებს. ეს ყველაფერი ემოციურ არასტაბილურობაზე მიგვანიშნებს, გვაგებინებს, რომ ბავშვს აქვს პრობლემა, რომელსაც მარტო ვერ უმკლავდება.

3. უპასუხეთ მის კითხვებს (მაშინაც კი, როცა პასუხი არ გაქვთ) - პარადოქსია, მაგრამ სჯობს წაახალისოთ პატარები კითხვების დასმამი მაშინაც კი, როცა პასუხი არ იცით, ვიდრე გაკვეთილი ჩაუტაროთ. უფროსების სისუსტე დღეს იმაშია, რომ არ იციან, როგორ მოიქცნენ ბავშვებთან. როდესაც ბავშვი გკითხავთ, დაიწყება თუ არა მესამე მსოფლიო ომი, უპასუხეთ ამგვარად: „შესაძლებელია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში მე შენთან ვიქნები“. სავსებით უნდა დავამშვიდოთ პატარა, რომ ის მარტო არ დარჩება, რომ მზად ხართ მის დასაცავად.

4. წაახალისეთ ფიზიკური კონტაქტი - „თუ გეშინია, ჩაეხუტე დედას ან მამას, ისინი დაგამშვიდებენ“ - ფიზიკური კონტაქტი ძალიან მძლავრი ინსტრუმენტია იმისათვის, რომ ბავშვმა თავი დაცულად იგრძნოს. პატარას სჭირდება იგრძნოს მშობლების სიახლოვე და სითბო.

5. მიმართეთ სამშვიდობო ხასიათის აქტივობებს სკოლაში - მასწავლებლებს ბევრი მოეთხოვებათ ამ კუთხით, მნიშვნელოვანია ჯგუფებში მუშაობა (ხატვა, წერა, ხელგარჯილობა...), ომის შესახებ სურათების ხატვა ბავშვებს თვითგამოხატვაში ეხმარება.

6. გაუმართივეთ საუბრის თემა, მაგრამ არ გახადოთ ის ბანალური - ბავშვს შეიძლება ასეც აუხსნათ: „ომი რალაცით ჰგავს ძმების ჩხუბს, ამ შემთხვევაში, ქვეყნები ჩხუბობენ ომის გზით, რაც სწორი არაა. მიიშვებ, როცა ძმების ჩხუბს უყურებ, მით უარესია, როცა ეს ხდება ქვეყნებს შორის, მათ შეუძლიათ სხვაგვარად გადაჭრან გაუგებრობები“. მსგავსი საუბარი ცოტა გულუბრყვილოდ შეიძლება ჩანდეს, მაგრამ ასე უბრალოდ ნათქვამით ბავშვი უფრო ადვილად გაიაზრებს იმ დიდ პრობლემას, რომლის სიღრმეში წვდომა მის ძაღვს ალემბატება. გავისხენოთ რ. ბენინის ფილმი „ცხოვრება მშვენიერია“, როდესაც საკონცენტრაციო ბანაკში მოხვედრილი მამა ცდილობს დაიცვას თავისი შვილი, როგორც ფიზიკურად, ისე მორალურად, და ბანაკში ყოფნის პერიოდს ერთ დიდ თამაშად უხატავს.

7. ომის ბოროტებას ნუ განაზოგადებთ - როცა ცდილობთ ბავშვებს ომის შესახებ ესაუბროთ, არ განაზოგადოთ პრობლემა. „მაგალითად, როდესაც გმობთ რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ ომის წამოწყებას, მნიშვნელოვანია ბავშვს აუხსნათ, რომ ცუდია არა ყველა რუსი, არამედ „ის მთავრობა“, რომელმაც უკრაინაში შეჭრა გადაწყვიტა“. კლასში შეიძლება იყოს რუსი ეროვნების ბიჭი ან გოგონა და ისინი, რა თქმა უნდა, არ არიან პასუხისმგებელი იმაზე, რასაც მათი ქვეყნის მთავრობა აკეთებს.

8. წინასწარ არ დახატოთ კატასტროფული სურათი - ნუ იქნებით პესიმისტები, არ უნდა შექმნათ ცრუ განგაში, ან ზედმეტი შფოთვა გამოიწვიოთ ბავშვებში, მათ ყოველთვის უნდა მისცეთ იმედი. არასდროს არ უნდა უთხრათ, რომ თუ საქმე ასე წავა, ატომური აფეთქება მოხდება და სამყარო განადგურდება.

9. სიმშვიდე შევინარჩუნოთ შინ - ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ მნიშვნელოვანია სახლში შევინარჩუნოთ სიმშვიდე, ჩვენი ტანჯვით ბავშვი არ ავაფორიაქოთ. აუცილებელია ყურადღება მიაქციოთ მაგიდის ირგვლივ ან საერთო სივრცეში გამართულ საუბრებს: უფროსმა ყოვლისმცოდნედ კი არ უნდა წარმოადგინოს თავი, არამედ დაიცვას ბავშვი, არ აგრძნობინოს მას, რომ თავადაც შეშინებულია.

10. გახსოვდეთ, რომ ბავშვები განსხვავებული არიან - ყოველ ბავშვს განსხვავებული მიდგომა სჭირდება. ყველა მშობელი იცნობს თავის შვილს, ყველა მასწავლებელი - თავის მოსწავლეს. არ არსებობს ჯადოსნური ფორმულები და უნივერსალური პასუხები. ზრდასრული უნდა შეეცადოს, ადეკვატური პასუხი გასცეს ბავშვს კონკრეტულ მომენტში.

მომხსენებელია ჟურნალისტი ელვირა სერას სტამბილი
„ომი: როგორ ავუხსნათ ბავშვებს“ საფუძველზე;
ბამოქვეყნდა ბუბუთში „Corriera della Sera“.





წმიდა მარტინის ფუნთუშები

წმიდა მარტინის ფუნთუშები (Biscotti di San Martino) ტრადიციული სიცილიური ტკბილეულია, რომელსაც ამზადებენ 11 ნოემბერს, წმიდა მარტინის მოხსენიების დღეს, ახალი ღვინის დეგუსტაციისა და მოსავლის აღების აღსანიშნავად. სან მარტინოში (San Martino in Rio - კომუნა იტალიაში) ამბობენ: „ogni mosto è vino“, რაც ნიშნავს, რომ ყველა ბადაგი ღვინოდ უნდა იქცეს. ამიტომ ამ უგემრიელეს ფუნთუშებს ღვინოსთან ერთად მიირთმევენ.

სიცილიური დესერტი „Biscotti di San Martino“ შეიძლება მომზადდეს გამაფხვიერებლით ან მის გარეშე, ეგრეთ ნოდებული „მშრალი ბისკოტი“ - Biscotti di San Martino secchi. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, დარიჩინით მზადდება.

ინგრედიენტები

ფქვილი
გრანულირებული შაქარი
ანისის თესლი
დარიჩინი
მარილი
ნაღების კარაქი: გაცივებული, უმარილო
მშრალი საფუარი: 7 გრ (1 პაკეტი)
წყალი

მომზადება

გამოაცხვეთ 400 გრადუს ტემპერატურაზე 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ გამოიღეთ ღუმელიდან, დატოვეთ 2 წუთი, შეამცირეთ ტემპერატურა 350 გრადუსამდე და გამოაცხვეთ კიდევ 10-15 წუთის განმავლობაში. თუ ზედმეტად გამუქდება, გადააფარეთ პერგამენტის ქაღალდი ან ფოლგა. გამორთული ღუმელის კარი დატოვეთ ოდნავ ღია და მხოლოდ მაშინ გამოიღეთ ფუნთუშები, როდესაც სავსებით გაცივდება.

ლაშაში საღამო

ჩვენს ყველა შეხვედრას რომ აერთიანებს, იმედისა და სიყვარულის, სინათლისა და სიხარულის სხივი ჰქვია. სწორედ ასეთი შეხვედრა მოგვინყევს სოფელ ახალშენის საჯარო სკოლის მოსწავლეებს ქალაქ ქუთაისში, ქართველი კომპოზიტორის, დირიჟორის, პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ქალბატონმა მარინე სულაქველიძემ და ჩვენი სკოლის დიდმა გულშემატკივარმა და მეგობარმა, პოეტმა ეთერ ფახურიძემ, „ეთიფარიე რიონისპირელმა“.

მუზეუმის დირექტორმა მოსწავლეებს უამბო ზაქარია ფალიაშვილის ბავშვობისა და მისი მოღვაწეობის საინტერესო მომენტების შესახებ. დავათვალიერეთ მუზეუმი და გავეცანით იქ არსებულ ქართულ მუსიკალურ საკრავებს, გადავიღეთ სურათები სწორედ იმ აივანზე, სადაც ზაქარია ფალიაშვილი წერდა შესანიშნავ მუსიკას; ვნახეთ ეზოში გასასვლელი ბილიკი, საიდანაც დიდი კომპოზიტორი ყოველ დილით მიუყვებოდა ხარების კათოლიკური ეკლესიისაკენ (ამჟამად წართმეულია) მიმავალ გზას.

მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გაიმართა პოეზიის საღამო. მოსწავლეებმა წაიკითხეს ქალბატონ ეთერ ფახურიძის ლექსები, შეასრულეს კომპოზიტორ ვასილ კოკელაძის სიმღერა „საქართველო ტაძარია წმინდა“. როიალთან იჯდა ჩვენი სკოლის ხელოვნების მასწავლებელი ირმა ჭიღვარია. ასევე შეასრულეს ქართული მრავალხმიანი სიმღერა „სულიკო“ გიტარის თანხლებით, რომელზედაც უკრავდა მამა დანიელე. მოულოდნელი საჩუქარი იყო, როდესაც მოვისმინეთ მამა დანიელეს მიერ ღვთისმშობლის შესახებ დაწერილი სიმღერა, რომელიც თავად შეასრულა. დიდი ემოცია გამოიწვია ქალბატონ ეთერის მიერ ახალშენის შესახებ დაწერილმა ლექსმა, რომელიც ჩვენი სოფლის ჰიმნად გვინდა ვაქციოთ.



საღამო დასრულდა ფურშეტით მუზეუმის ეზოში. უღრმესი მადლობა ამ შესაძლებლობისათვის საღამოს ორგანიზატორებს, ჩვენი ეკლესიის წინამძღვარს, მამა დანიელეს, ქალბატონ ეთერს და მუზეუმის ხელმძღვანელობას.

კმაყოფილნი დავბრუნდით ჩვენს სოფელში, შევუდექით სწავლას და მზადებას ახალშენის დღესასწაულისათვის, რომელიც გაიმართება ა. წ. 23 ნოემბერს. ყველას გულით გეპატიჟებით და გელით, რათა ერთად გავიზიაროთ ამ დღით გამოწვეული სიხარული.

ახალშენის საჯარო სკოლა

კარიტასი 30 წლის გახდა!



Donation

